უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სამართლის საბაკალარო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი:

04.04.2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

გიორგი

მახარობლიშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	სამართალი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VI
4	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0421
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 113, უნივერსიტეტის I კორპუსი. საქართველო 0800
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	№ 258054 19.03.2021
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი 04.03. 2022
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	04.03.2028

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	✓			
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	✓			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა		✓		
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები		✓		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდირებულია პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის უსდ-მ შეიმუშავოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ შეფასებების ვალიდურობას, სანდოობას და გამჭვირვალობას. მიზანშეწონილია პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ის სასწავლო კურსები ან კომპონენტები, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

სწავლის შედეგების განმტკიცება და არა ე.წ. ნებაყოფლობითი დამატებითი გამოცდების გზით;

2. რეკომენდირებულია ცალკეულ შემთხვევებში პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები დაზუსტდეს. მაგალითად, სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი“, მაშინ როდესაც კურიკულუმის თანახმად ორივე სასწავლო კურსი ერთ სასწავლო სემესტრში ისწავლება. სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განისაზღვროს სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)“. დაზუსტებას მოითხოვს სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“-ს დაშვების წინაპირობებიც. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართალი 2 (ადმინისტრაციული წარმოება)“, რაც აშკარად არასაკმარისია ამ სასწავლო კურსის შესასწავლად. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1“. ამასთან, სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2 “-ის დაშვების წინაპირობად სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“-ს ნაცვლად უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“, ვინაიდან ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცოდნა აუცილებელი წინაპირობაა ამ სასწავლო კურსით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხების შესასწავლად;

3. რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, პროგრამამ სავალდებულოდ მოიცვას ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის საქმიანობის ეთიკური პრინციპების სწავლებაც;

4. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში მე-14 და მე-15 თემები ან მე-13, მე-14 და მე-15 თემები ან მე-13 და მე-14 თემები, მათ შორის, განსახილველი საკითხები და სასწავლო ლიტერატურა აბსოლიტურად იდენტურია. სტუდენტთა ყოველკვირეული დატვირთვის ოპტიმიზაციის მიზნით, რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების სილაბუსებში განსახილველი საკითხები გადანაწილდეს ისე, რომ აღმოიფხვრას მათი დუბლირება;

5. რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან;

6. პროგრამის საჭიროებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ გაზარდოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი ფინანსური რესურსების მოცულობა;

7. რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების გეგმა გადაიხედოს და სწორად გაიწეროს როგორც შეფასების მეთოდები, ისე განხორციელების დრო, შეფასების ფორმები და სამიზნე ნიშნულები;

8. რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება გაიმიჯნოს კოლეგიალური, განმავითარებელი შეფასებისაგან და აკრედიტაციის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება აისახოს თვითშეფასების ანგარიშში.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში და შესაბამისი დანართები. ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასება, თითოეულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით შემდეგნაირია:

1. რეკომენდირებულია პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის უსდ-მ შეიმუშავოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ შეფასებების ვალიდურობას, სანდოობას და გამჭვირვალობას. მიზანშეწონილია პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ის სასწავლო კურსები ან კომპონენტები, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება და არა ე.წ. ნებაყოფლობითი დამატებითი გამოცდების გზით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია მიემართებოდა პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასებას, რაც შესაბამის სპეციფიკურ შინაარსობრივ და ფუნქციონალურ დანიშნულებას მოიცავს და გულისხმობს. პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მექანიზმი, თვისებრივად, მოიაზრებს თითოეული სწავლის შედეგის შეფასებას კონკრეტული სავალდებულო სასწავლო კურსის ან კურსების სწავლის შედეგის შეფასების შედეგის მიმართებას პროგრამის წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგთან. პროგრამის აქვს შვიდი სწავლის შედეგი, რომელიც შინაარსობრივად კიდევ უფრო ჩაშლილია. პროგრამის სწავლის შედეგების წარმოდგენლი შეფასების მექანიზმი კვლავ ზოგად სტრატეგიას წარმოსახავს და არ აზუსტებს თუ პროგრამის რომელი სწავლის შედეგის შეფასებისთვის გამოდგება ესა თუ ის სავალდებულო სასწავლო კურსი. წარმოდგენილი მექანიზმი განსაზღვრავს, რომ ზოგადად სასწავლო კურსის საგამოცდო შეფასების საფუძველზე ფასდება, მაგალითად, პროგრამის A შედეგი, ხოლო შეფასებისთვის აღებულია საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი. ბუნებრივია, მხოლოდ ეს კურსები არ და ვერ ჩამოაყალიბებდა პროგრამის ყველა სწავლის შედეგს, რაც პროგრამის კურუკულუმის რუკიდანაც კარგად ჩანს. შეფასების ეს „მოდელი“ კი მიემართება პროგრამის ყველა სწავლის შედეგს. მიზანშეწონილია, რომ პროგრამის კურუკულუმის რუკის მონაცემები, სადაც გაწერილია თუ რომელი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამის რომელ სწავლის შედეგზე გადის, გამოყენებულ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ხელახალი გაწერისას, რაც უზრუნელყოფს პროგრამის სწავლის შედეგის პირდაპირი მეთოდით შეფასების

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

სწორად სტრუქტურირებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაცია არ არის შესრულებული.

2. რეკომენდირებულია ცალკეულ შემთხვევებში პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები დაზუსტდეს. მაგალითად, სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი“, მაშინ როდესაც კურიკულუმის თანახმად ორივე სასწავლო კურსი ერთ სასწავლო სემესტრში ისწავლება. სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განისაზღვროს სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)“. დაზუსტებას მოითხოვს სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“-ს დაშვების წინაპირობებიც. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართალი 2 (ადმინისტრაციული წარმოება)“, რაც აშკარად არასაკმარისია ამ სასწავლო კურსის შესასწავლად. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1“. ამასთან, სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2 “-ის დაშვების წინაპირობად სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“-ს ნაცვლად უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“, ვინაიდან ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცოდნა აუცილებელი წინაპირობაა ამ სასწავლო კურსით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხების შესასწავლად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მაფორმირებელი სასწავლო კურსების თანმიმდევრობის მიმართ გაცემულ იქნა რეკომენდაცია, რომ სასწავლო კურსები ლოგიკურად თანმიმდევრულ სისტემაში მოქცეულიყო, რის შედეგადაც კონკრეტული სასწავლო კურსის შედეგი აუცილებელია მომდევნო „საფეხურის“ საგნის ასათვისებლად. კერძოდ, სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის“ წინაპირობად, „სახელშეკრულებო სამართლის“ ნაცვლად, რეკომენდაციის შესაბამისად, განისაზღვრა სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი). თავის მხრივ, ადმინისტრაციულ სამართალს დაშვების წინაპირობად, „ადმინისტრაციული სამართალი 2 (ადმინისტრაციული წარმოება)“ სასწავლო კურსთან ერთად, რეკომენდაციის შესაბამისად, განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი 1“. სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“ წინაპირობად, რეკომენდაციის შესაბამისად, განისაზღვრა სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

3. რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, პროგრამამ სავალდებულოდ მოიცვას ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის საქმიანობის ეთიკური პრინციპების სწავლებაც.

სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა თანახმად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნად განსაზღვრულია პროფესიული ეთიკა, რომელიც რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშისა და პროგრამის

მიხედვით, ისწავლება მე-7 სემესტრში, ხოლო სილაბუსში მითითებულია მე-5 სემესტრი, რაც გასასწორებელი იქნება. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

4. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში მე-14 და მე-15 თემები ან მე-13, მე-14 და მე-15 თემები ან მე-13 და მე-14 თემები, მათ შორის, განსახილველი საკითხები და სასწავლო ლიტერატურა აბსოლიტურად იდენტურია. სტუდენტთა ყოველკვირეული დატვირთვის ოპტიმიზაციის მიზნით, რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების სილაბუსებში განსახილველი საკითხები გადანაწილდეს ისე, რომ აღმოიფხვრას მათი დუბლირება

რეკომენდაციის შესრულების შეფასების პროცესში გადაიხედა წარმოდგენილი სილაბუსები, საიდანაც გამოიკვეთა კონკრეტული საკითხები. კერძოდ, სასწავლო კურსში „ადმინისრაციული სამართლის პროცესი“ ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ რიცხვები (1,2,3), ხოლო მე-13, მე-14 თემებთან საერთოდ არაფერია მითითებული. ლიტერატურის მსგავსი მითითების ფორმაა გამოყენებული სასწავლო კურსში „გადახდისუუნარობის სამართალი“, რომელსაც, დამატებით, შინაარსობრივად კიდევ ის საკითხი გამოეკვეთა, რომ ის შეცვლილ კანონის რედაქციას, კერძოდ, საქართველოს კანონს „რეაბილტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ არსებითად არ იყენებს. შესაბამისად, ეს სილაბუსი შინაარსობრივად გადასახედია. ლიტერატურა ანალოგიურად არის მითითებული სასწავლო კურსებში: „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა“, „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალი“, „კაზუსის ამოხსნა საკონსტიტუციო სამართალი“, „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა“, „რომის სამართლის საფუძვლები“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი“, „ქართული სამართლის ისტორია“. შესაბამისად, ჩამოთვლილი სასწავლო კურსები, ამ კუთხით, გადასახედია.

სასწავლო კურსში „პრაქტიკული სამართლის კლინიკა“ სავალდებულო ლიტერატურა საკმაოდ მოცულობითია, რომელიც, სასურველია შემცირდეს. ასევე, ხსენებული სასწავლო კურსის მე-12 და მე-13 თემა ერთმანეთს ემთხვევა როგორც თემატურად, ისე სავალდებულო ლიტერატურით. სასწავლო კურსში „რომის სამართლის საფუძვლები“ მე-14 და მე-15 თემები ერთმანეთს ემთხვევა. ასევე, სასწავლო კურსში „საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი“ მე-14 და მე-15 თემა, რეალურად ერთი და იგივე საკიხთის მომცველია. სასწავლო კურსში „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“ მე-13, მე-14 და მე-15 თემები, ფაქტობრივად, ემთხვევა ერთმანეთს და ისინი გადასახედია. სასწავლო კურსში „ქართული სამართლის ისტორია“ მე-12 და მე-13 თემატიკა ერთმანეთს ფარავს - მე-13 თემა მოიცავს მე-12 სალექციო თემატიკას. შედეგად, თემატიკა და ლიტერატურა იმგვარად უნდა იქნეს გადანაწილებული, რომ აღმოიფხვრას მათი გამეორება.

5. რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია „საკანონმდებლო მაცნესთან“ სრულფასოვანი წვდომისა და მომხარებელთა რაოდენობის ზრდასთან მიმართებით, გათვალისწინებულია, რაც დასტურდება უსდ-ის მიერ „საკანონმდებლო ორგანოსთვის“ მიმართვის წერილითა და „მიღება-ჩაბარების“ დოკუმენტით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, თუმცა, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ „საკანონმდებლო მაცნესთან“ წვდომა ექსპერტის მიერ ვერ შემოწმდა, რაც ანგარიშის შეფასების ფორმატით არის განპირობებული.

6. პროგრამის საჭიროებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ გაზარდოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი ფინანსური რესურსების მოცულობა.

წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, პროგრამის საჭიროებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი ფინანსური რესურსების მოცულობა გაზრდილია. კერძოდ, გაზრდილია კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი; სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი გაზრდილია ორჯერ, ცალკე პუნქტად ჩამოყალიბდა კვლევებისა და განვითარების და სხვა მსგავსი ღონისძიების დაფინანსების მიზნით გაწეული ხარჯი 7 500 ლარი. ჩამოთვლილი ხარჯები წარმოდგენილ 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

7. რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების გეგმა გადაიხედოს და სწორად გაიწეროს როგორც შეფასების მეთოდები, ისე განხორციელების დრო, შეფასების ფორმები და სამიზნე ნიშნულები.

წარმოდგენილი რეკომენდაცია 1.2 სტანდარტში გაცემული რეკომენდაციის გამოძახილია, რომელიც რამდენიმე ასპექტის შესრულებას საჭიროებდა იმისათვის, რომ რეკომენდაცია შესრულებულიყო. კერძოდ, შეფასების მეთოდი სწორად უნდა განსაზღვრულიყო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების ეტაპზე, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ არის განხორციელებული. ასევე, რეკომენდირებული იყო, რომ შეფასების დრო, ფორმები და სამიზნე ნიშნულები გაწერილიყო. თუმცა, რამდენადაც პირდაპირი შეფასების მეთოდი არასწორად იქნა წარმოდგენილი, ეს უნდა იყოს იმის განმაპირობებელი, რომ შეფასების დრო, შეფასების ფორმა და სამიზნე ნიშნულიც არ არის სრულფასოვნად წარმოდგენილი და ის გადასახედია კვლავ. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრმის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, არაპირდაპირი შეფასების ნაწილში, სტუდენტთა გამოკითხვა არ არის გათვალისწინებული და ეს ნაწილიც გადასახედია. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად არ უნდა ჩაითვალოს.

8. რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება გაიმიჯნოს კოლეგიალური, განმავითარებელი შეფასებისაგან და აკრედიტაციის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება აისახოს თვითშეფასების ანგარიშში.

წარმოდგენილი რეკომენდაცია, შინაარსით, იმგვარია, რომ მისი გათვალისწინება სამომავლო სააკრედიტაციო პროცესს უფრო ეხმიანება, ვიდრე პროგრამის მიმდინარე ადმინისტრირებას. თუმცა, როგორც ანგარიშიდან იკვეთება, უსდ-ს განალიზებულია მისი მიზნობრივი დანიშნულება, რასაც სამომავლოდ გამოიყენებს. დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშის წარმოდგენის ეტაპისთვის, უსდ-ს მიღებული აქვს ე.წ. გარე შეფასება, რომელიც სამართლის საბაკალავრო პროგრამას, მის სტრუქტურასა და არქიტექტონიკას, დადებითად აფასებს. შესაბამისად, რომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

რჩევ(ებ)ი[8]

1. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სასწავლო კურსებით ფორმირებული ბადის მონიტორინგის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების (მათ შორის, პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან;
2. საერთაშორისო ბაზრის დამსაქმებელთა მოთხოვნების შესატყვისი ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირველი საფეხურის დონის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მიზნით, რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში აისახოს საერთაშორისო ტენდენციებიც და სტუდენთა ინტერნაციონალიზაციის საკითხებიც;
3. ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა არის ქართული, სასურველია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში და შედეგებში სიტყვები „მშობლიურ ან/და ინგლისურ ენებზე“ შეიცვალოს სიტყვებით „ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე“;
4. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა (20 ECTS), თუნდაც ისეთი სავალდებულო კურსების ხარჯზე, როგორიცაა ფილოსოფიის შესავალი, სასჯელის შეფარდება, სასჯელაღსრულებითი სამართალი და საარჩევნო სამართალი. აღნიშნული ცვლილება უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში;
5. პროგრამის თავისუფალი კომპონენტი შედგება ზოგადტრანსფერული უნარების განმავითარებელი სავალდებულო სასწავლო კურსებისაგან. შესაბამისად აღნიშნული კომპონენტი არ წარმოადგენს თავისუფალ კომპონენტს. თავისუფალი კომპონენტის შემთხვევაში სტუდენტს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის თავისუფალ კომპონენტს სასურველია ეწოდოს ზოგადტრანსფერული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები ან არასპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები;

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

6. სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით სასწავლო კურსი „ინფორმატიკა“ სასურველია სტუდენტს უვითარებდეს ასევე ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების, სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით საჭირო ინფორმაციის, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების მოძიების უნარს;

7. საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, სასურველია 6-8 სასწავლო სემესტრების განმავლობაში სასწავლო რესურსებში უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა;

8. სასურველია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსები („შესავალი სამართალმცოდნეობაში“, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, „ადამიანის ძირითადი უფლებები“, „ადმინისტრაციული სამართალი - საჯარო მმართველობა“, „ადმინისტრაციული სამართალი - ადმინისტრაციული წარმოება“, „შრომის სამართლი”, „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, „ვალდებულებითი სამართლი (ზოგადი ნაწილი)”, „სახელშეკრულებო სამართლი”, „სამოქალაქო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა”) გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურის განახლებისა და მათში უახლესი სასამართლო პრაქტიკის ინტეგრირების მიზნით;

9. სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებულ თითოეულ განსახილველ თემასთან მიმართებით განსაზღვრისას მხოლოდ ამ თემისათვის რელევანტური სავალდებულო ლიტერატურა. მაგალითად, სასწავლო კურსის „საგადასახადო სამართალი“-ს სილაბუსში თხუთმეტივე განსახილველ თემასთან მიმართებით მითითებულია სილაბუსით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც განსახილველ თემასთან მიმართებათ ირელევენტურია;

10. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა სრულად უნდა გამოიყენებოდეს ამავე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული თემატიკის შესწავლისათვის და ის ფორმალურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს. მაგალითად, სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია მ. ლომსაძის სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, (თბ., 2020), მ. ტურავას სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (თბ., 2013) და ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, მაშინ როდესაც ამავე კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ თემატიკასთან მიმართებაში სავალდებულო ლიტერატურად მხოლოდ მ. ლომსაძის სახელმძღვანელო გამოიყენება;

11. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკული კურსის სახით ითვალისწინებს იურიდიული კლინიკას, რაც პროგრამის აუცილებელ კომპონენტია. იურიდიული კლინიკა მიზნად ისახავს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაუმჯობესებას და საჯარო სკოლებში ეფექტური სამართლებრივი განათლების დანერგვას. იურიდიული კლინიკა ამ შემთხვევაში გულისხმობს სამართალის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ინტერაქტიული მეთოდიკის გამოყენებით ძირითადი სამართლებრივი საკითხების სწავლებას. მიზანშეწინილია სამართლის საბაკალავრლო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის აღნიშნულ მოდელს „პრაქტიკული კურსის - იურიდიული კლინიკის“ ნაცვლად ეწოდოს პრაქტიკული სამართლის კლინიკა (Street Law) და პროგრამის სავალდებულო კომპონენტიდან გადატანილი იქნას პროგრამის არჩევით

კომპონენტებში. ამასთან, აღნიშნული კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით უსდ-მ უნდა გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები საჯარო სკოლებთან;
12. სასურველია უსდ-მ შეიმუშაოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა);
13. სასურველია, უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, მოახდინოს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება;
14. სტუდენტის მიერ უცხოური სამეცნიერო წყაროების კვლევით პროცესში ფართოდ გამოყენების მიზნით, სასურველია უსდ-მ შეიძინოს სამართალის მიმართულების ისეთი აქტუალური რესურსები, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com. აღნიშნული რესურსების შეძენა შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევებიდან მხოლოდ მე-3, მე-4, მე-10 და მე-11 რჩევასთან მიმართებით აქვს ანგარიში წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ რჩევის გათვალისწინება დაწესებულებისთვის სავალდებულო არ არის.

რჩევები და მათი შესრულება:

3. ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა არის ქართული, სასურველია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში და შედეგებში სიტყვები „მშობლიურ ან/და ინგლისურ ენებზე“ შეიცვალოს სიტყვებით „ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე“.
უსდ-ის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევა გათვალისწინებულია და „მშობლიური ენის“ ნაცვლად გამოყენებულია „ქართული ენა“.

4. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა (20 ECTS), თუნდაც ისეთი სავალდებულო კურსების ხარჯზე, როგორიცაა ფილოსოფიის შესავალი, სასჯელის შეფარდება, სასჯელაღსრულებითი სამართალი და საარჩევნო სამართალი. აღნიშნული ცვლილება უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში.

---

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

რჩევა გათვალისწინებულია - სამართლის საბაკალავრო პროგრამა სამართლის ყველა მიმართულებით შეიცავს არჩევითი სასწავლო კურსების ფართო ჩამონათვალს.

10. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა სრულად უნდა გამოიყენებოდეს ამავე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული თემატიკის შესწავლისათვის და ის ფორმალურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს. მაგალითად, სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია მ. ლომსაძის სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, (თბ., 2020), მ. ტურავას სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (თბ., 2013) და ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, მაშინ როდესაც ამავე კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ თემატიკასთან მიმართებაში სავალდებულო ლიტერატურად მხოლოდ მ. ლომსაძის სახელმძღვანელო გამოიყენება.

დაწესებულების მიერ, დამატებით, წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევის შესრულების შესახებ ანგარიში, მიუხედავად იმისა, რომ რჩევა სავალდებულოდ შესასრულებელი არ არის. სასწავლო კურსში „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ სავალდებულო ყველა ლიტერატურა სალექციო თემებისა და კვირების შესაბამისად, მითითებულია. შესაბამისად, რჩევა გათვალისწინებულია.

11. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკული კურსის სახით ითვალისწინებს იურიდიული კლინიკას, რაც პროგრამის აუცილებელ კომპონენტია. იურიდიული კლინიკა მიზნად ისახავს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაუმჯობესებას და საჯარო სკოლებში ეფექტური სამართლებრივი განათლების დანერგვას. იურიდიული კლინიკა ამ შემთხვევაში გულისხმობს სამართალის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ინტერაქტიული მეთოდიკის გამოყენებით ძირითადი სამართლებრივი საკითხების სწავლებას. მიზანშეწინილია სამართლის საბაკალავრლო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის აღნიშნულ მოდელს „პრაქტიკული კურსის - იურიდიული კლინიკის“ ნაცვლად ეწოდოს პრაქტიკული სამართლის კლინიკა (Street Law) და პროგრამის სავალდებულო კომპონენტიდან გადატანილი იქნას პროგრამის არჩევით კომპონენტებში. ამასთან, აღნიშნული კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით უსდ-მ უნდა გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები საჯარო სკოლებთან.

რჩევა მიმართულია სასწავლო კურსის „იურიდიული კლინიკა“ სახელწოდების ცვლილების, მისი სავალდებულო კურსებიდან ამოღება და არჩევით კურსებში გადატანა, ხოლო სასწავლო კურსის პრაქტიკული გამოყენების მიზნებისათის, შესაბამისი მემორანდუმებისა თუ ხელშეკრულებების გაფორმება. სასწავლო კურსის სახელწოდება შეცვლილია და მას ეწოდება „პრაქტიკული სამართლის კლინიკა“, რომელიც სავალდებულოდან არჩევითი სასწავლო კურსების ბადეშია გადატანილი. თუმცა, უსდ-ის მიერ შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები არ არის წარმოდგენილი. შედეგად, რჩევა, ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება[13]	**1.2. პროგრამის სწავლის შედეგები**
რეკომენდაცია I[14]	1. რეკომენდირებულია პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის უსდ-მ შეიმუშავოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ შეფასებების ვალიდურობას, სანდოობას და გამჭვირვალობას. მიზანშეწონილია პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ის სასწავლო კურსები ან კომპონენტები, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება და არა ე.წ. ნებაყოფლობითი დამატებითი გამოცდების გზით.
შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია მიემართებოდა პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასებას, რაც შესაბამის სპეციფიკურ შინაარსობრივ და ფუნქციონალურ დანიშნულებას მოიცავს და გულისხმობს. პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მექანიზმი, თვისებრივად, მოიაზრებს თითოეული სწავლის შედეგის შეფასებას კონკრეტული სავალდებულო სასწავლო კურსის ან

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	კურსების სწავლის შედეგის შეფასების შედეგის მიმართებას პროგრამის წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგთან. პროგრამის აქვს შვიდი სწავლის შედეგი, რომელიც შინაარსობრივად კიდევ უფრო ჩაშლილია. პროგრამის სწავლის შედეგების წარმოდგენლი შეფასების მექანიზმი კვლავ ზოგად სტრატეგიას წარმოსახავს და არ აზუსტებს თუ პროგრამის რომელი სწავლის შედეგის შეფასებისთვის გამოდგება ესა თუ ის სავალდებულო სასწავლო კურსი. წარმოდგენილი მექანიზმი განსაზღვრავს, რომ ზოგადად სასწავლო კურსის საგამოცდო შეფასების საფუძველზე ფასდება, მაგალითად, პროგრამის A შედეგი, ხოლო შეფასებისთვის აღბულია საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი. ბუნებრივია, მხოლოდ ეს კურსები არ და ვერ ჩამოაყალიბებდა პროგრამის ყველა სწავლის შედეგს, რაც პროგრამის კურუკულუმის რუკიდანაც კარგად ჩანს. შეფასების ეს „მოდელი“ კი მიემართება პროგრამის ყველა სწავლის შედეგს. მიზანშეწონილია, რომ პროგრამის კურუკულუმის რუკის მონაცემები, სადაც გაწერილია თუ რომელი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამის რომელ სწავლის შედეგზე გადის, გამოყენებულ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ხელახალი გაწერისას, რაც უზრუნელყოფს პროგრამის სწავლის შედეგის პირდაპირი მეთოდით შეფასების სწორად სტრუქტუირებას. მაგალითად, პროგრამის სწავლის შემდგის: 1. სამართლის არსს, სამართლის ნიშნებს, სამართლის ფუნქციებს, სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და მათ მნიშვნელობას სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს - შეფასებისას, უპირატესად, გამოყენებულ უნდა იქნეს სასწავლო კურსი „შესავალი სამართალმცოდნეობაში“, ხოლო ხსენებულ სასწავლო კურსში შეფასების მეთოდის შედეგები გამოყენებულ იქნება პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევადობის შეფასების მიზნით. შესაბამისად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაცია არ არის შესრულებული.
რჩევა[15]I	-
შეფასება	-

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**
რეკომენდაცია II[16]	2. რეკომენდირებულია ცალკეულ შემთხვევებში პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები დაზუსტდეს. მაგალითად, სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი“, მაშინ როდესაც კურიკულუმის თანახმად ორივე სასწავლო კურსი ერთ სასწავლო სემესტრში ისწავლება. სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განისაზღვროს სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)“. დაზუსტებას მოითხოვს სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“-ს დაშვების წინაპირობებიც. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართალი 2 (ადმინისტრაციული წარმოება)“, რაც აშკარად არასაკმარისია ამ სასწავლო კურსის შესასწავლად. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1“. ამასთან, სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2 “-ის დაშვების წინაპირობად სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“-ს ნაცვლად უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“, ვინაიდან ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცოდნა აუცილებელი წინაპირობაა ამ სასწავლო კურსით გათვალისწინებული მთელი რიგი

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	საკითხების შესასწავლად.
შეფასება	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მაფორმირებელი სასწავლო კურსების თანმიმდევრობის მიმართ გაცემულ იქნა რეკომენდაცია, რომ სასწავლო კურსები ლოგიკურად თანმიმდევრულ სისტემაში მოქცეულიყო, რის შედეგადაც კონკრეტული სასწავლო კურსის შედეგი აუცილებელია მომდევნო „საფეხურის“ საგნის ასათვისებლად. კერძოდ, სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის“ წინაპირობად, „სახელშეკრულებო სამართლის“ ნაცვლად, რეკომენდაციის შესაბამისად, განისაზღვრა სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი). თავის მხრივ, ადმინისტრაციულ სამართალს დაშვების წინაპირობად, „ადმინისტრაციული სამართალი 2 (ადმინისტრაციული წარმოება)“ სასწავლო კურსთან ერთად, რეკომენდაციის შესაბამისად, განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი 1“. სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“ წინაპირობად, რეკომენდაციის შესაბამისად, განისაზღვრა სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[17]II	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**
რეკომენდაცია III	3. რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, პროგრამამ სავალდებულოდ მოიცვას ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის საქმიანობის ეთიკური პრინციპების სწავლებაც.

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა თანახმად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნად განსაზღვრულია პროფესიული ეთიკა, რომელიც რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშისა და პროგრამის მიხედვით, ისწავლება მე-7 სემესტრში, ხოლო სილაბუსში მითითებულია მე-5 სემესტრი, რაც გასასწორებელი იქნება. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა III	ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა არის ქართული, სასურველია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში და შედეგებში სიტყვები „მშობლიურ ან/და ინგლისურ ენებზე“ შეიცვალოს სიტყვებით „ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე“.
შეფასება	უსდ-ის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევა გათვალისწინებულია და „მშობლიური ენის“ ნაცვლად გამოყენებულია „ქართული ენა“.
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.3. სასწავლო კურსი**
რეკომენდაცია IV	4. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში მე-14 და მე-15 თემები ან მე-13, მე-14 და მე-15 თემები ან მე-13 და მე-14 თემები, მათ შორის, განსახილველი საკითხები და სასწავლო ლიტერატურა აბსოლიტურად იდენტურია. სტუდენტთა ყოველკვირეული დატვირთვის ოპტიმიზაციის მიზნით, რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების სილაბუსებში განსახილველი საკითხები გადანაწილდეს ისე, რომ აღმოიფხვრას მათი დუბლირება.
შეფასება	რეკომენდაციის შესრულების შეფასების პროცესში გადაიხედა წარმოდგენილი სილაბუსები, საიდანაც გამოიკვეთა კონკრეტული საკითხები. კერძოდ, სასწავლო კურსში „ადმინისრაციული სამართლის პროცესი“ ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ

	რიცხვები (1,2,3), ხოლო მე-13, მე-14 თემებთან საერთოდ არაფერია მითითებული. ლიტერატურის მსგავსი მითითების ფორმაა გამოყენებული სასწავლო კურსში „გადახდისუუნარობის სამართალი“, რომელსაც, დამატებით, შინაარსობრივად კიდევ ის საკითხი გამოეკვეთა, რომ ის შეცვლილ კანონის რედაქციას, კერძოდ, საქართველოს კანონს „რეაბილტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ არსებითად არ იყენებს. შესაბამისად, ეს სილაბუსი შინაარსობრივად გადასახედია. ლიტერატურა ანალოგიურად არის მითითებული სასწავლო კურსებში: „დავის ალტერნატიული გადაწყყვეტა“, „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალი“, „კაზუსის ამოხსნა საკონსტიტუციო სამართალი“, „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა“, „რომის სამართლის საფუძვლები“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი“, „ქართული სამართლის ისტორია“. შესაბამისად, ჩამოთვლილი სასწავლო კურსები, ამ კუთხით, გადასახედია. სასწავლო კურსში „პრაქტიკული სამართლის კლინიკა“ სავალდებულო ლიტერატურა საკმაოდ მოცულობითი, რომელიც, სასურველია შემცირდეს. ასევე, ხსენებული სასწავლო კურსის მე-12 და მე-13 თემა ერთმანეთს ემთხვევა როგორც თემატურად, ისე სავალდებულო ლიტერატურით. სასწავლო კურსში „რომის სამართლის საფუძვლები“ მე-14 და მე-15 თემები ერთმანეთს ემთხვევა. ასევე, სასწავლო კურსში „საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი“ მე-14 და მე-15 თემა, რეალურად ერთი და იგივე საკიხთის მომცველია. სასწავლო კურსში „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“ მე-13, მ-14 და მე-15 თემები, ფაქტობრივად, ემთხვევა ერთმანეთს და ისინი გადასახედია. სასწავლო კურსში „ქართული სამართლის ისტორია“ მე-12 და მე-13 თემატიკა ერთმანეთს ფარავს - მე-13 თემა მოიცავს მე-12 სალექციო თემატიკას. შედეგად, თემატიკა და ლიტერატურა იმგვარად უნდა იქნეს გადანაწილებული, რომ აღმოიფხვრას მათი გამეორება.
რჩევა IV	პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა (20 ECTS), თუნდაც ისეთი სავალდებულო კურსების ხარჯზე, როგორიცაა ფილოსოფიის შესავალი, სასჯელის შეფარდება, სასჯელაღსრულებითი სამართალი და საარჩევნო

	სამართალი. აღნიშნული ცვლილება უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში.
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია - სამართლის საბაკალავრო პროგრამა სამართლის ყველა მიმართულებით შეიცავს არჩევითი სასწავლო კურსების ფართო ჩამონათვალს.
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**
კომპონენტის დასახელება	**4.3. მატერიალური რესურსი**
რეკომენდაცია V	5. რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან.
შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია „საკანონმდებლო მაცნესთან“ სრულფასოვანი წვდომისა და მომხარებელთა რაოდენობის ზრდასთან მიმართებით, გათვალისწინებულია, რაც დასტურდება უსდ-ის მიერ „საკანონმდებლო ორგანოსთვის“ მიმართვის წერილითა და „მიღება-ჩაბარების“ დოკუმენტით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, თუმცა, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ „საკანონმდებლო მაცნესთან“ წვდომა ექსპერტის მიერ ვერ შემოწმდა, რაც ანგარიშის შეფასების ფორმატით არის განპირობებული.
რჩევა V	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;

	• საკანონმდებლო მაჩნეში გაგზავნილი წერილი; • მიღება-ჩაბარების დოკუმენტი.

სტანდარტის დასახელება	**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**
კომპონენტის დასახელება	**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**
რეკომენდაცია VI	6. პროგრამის საჭიროებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ გაზარდოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი ფინანსური რესურსების მოცულობა.
შეფასება	წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, პროგრამის საჭიროებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი ფინანსური რესურსების მოცულობა გაზრდილია. კერძოდ, გაზრდილია კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი; სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი გაზრდილია ორჯერ, ცალკე პუნქტად ჩამოყალიბდა კვლევებისა და განვითარების და სხვა მსგავსი ღონისძიების დაფინანსების მიზნით გაწეული ხარჯი 7 500 ლარი. ჩამოთვლილი ხარჯები წარმოდგენილ 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.
რჩევა VI	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • 2022 წლის ბიუჯეტი.

სტანდარტის დასახელება	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.1. შიდა ხარისხის შეფასება**
რეკომენდაცია VII	7. რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების გეგმა გადაიხედოს და სწორად გაიწეროს როგორც შეფასების მეთოდები, ისე განხორციელების დრო, შეფასების

	ფორმები და სამიზნე ნიშნულები.
შეფასება	წარმოდგენილი რეკომენდაცია 1.2 სტანდარტში გაცემული რეკომენდაციის გამოძალილია, რომელიც რამდენიმე ასპექტის შესრულებას საჭიროებდა იმისათვის, რომ რეკომენდაცია შესრულებულიყო. კერძოდ, შეფასების მეთოდი სწორად უნდა განსაზღვრულიყო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების ეტაპზე, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ არის განხორციელებული. ასევე, რეკომენდირებული იყო, რომ შეფასების დრო, ფორმები და სამიზნე ნიშნულები გაწერილიყო. თუმცა, რამდენადაც პირდაპირი შეფასების მეთოდი არასწორად იქნა წარმოდგენილი, ეს უნდა იყოს იმის განმაპირობებელი, რომ შეფასების დრო, შეფასების ფორმა და სამიზნე ნიშნულიც არ არის სრულფასოვნად წარმოდგენილი და ის გადასახედია კვლავ. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრმის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, არაპირდაპირი შეფასების ნაწილში, სტუდენტთა გამოკითხვა არ არის გათვალისწინებული და ეს ნაწილიც გადასახედია. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად არ უნდა ჩაითვალოს.
რჩევა VII	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

სტანდარტის დასახელება	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.2. გარე ხარისხის შეფასება**
რეკომენდაცია VIII	8. რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება გაიმიჯნოს კოლეგიალური, განმავითარებელი შეფასებისაგან და აკრედიტაციის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება აისახოს თვითშეფასების ანგარიშში.
შეფასება	წარმოდგენილი რეკომენდაცია, შინაარსით, იმგვარია, რომ მისი გათვალისწინება სამომავლო სააკრედიტაციო პროცესს უფრო ეხმიანება, ვიდრე პროგრამის მიმდინარე ადმინისტრირებას. თუმცა, როგორც ანგარიშიდან იკვეთება, უსდ-ს განალიზებულია მისი მიზნობრივი დანიშნულება, რასაც სამომავლოდ გამოიყენებს. დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშის წარმოდგენის ეტაპისთვის,

	უსდ-ს მიღებული აქვს ე.წ. გარე შეფასება, რომელიც სამართლის საბაკალავრო პროგრამას, მის სტრუქტურასა და არქიტექტონიკას, დადებითად აფასებს. შესაბამისად, რომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.
რჩევა VIII	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • გარე შემფასებლის მიერ წარმოდგენილი შეფასება.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.3. სასწავლო კურსი**
რეკომენდაცია	-
შეფასება	-
რჩევა X	10. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა სრულად უნდა გამოიყენებოდეს ამავე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული თემატიკის შესწავლისათვის და ის ფორმალურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს. მაგალითად, სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია მ. ლომსაძის სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, (თბ., 2020), მ. ტურავას სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (თბ., 2013) და ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, მაშინ როდესაც ამავე კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ თემატიკასთან მიმართებაში სავალდებულო ლიტერატურად მხოლოდ მ. ლომსაძის სახელმძღვანელო გამოიყენება.
შეფასება	დაწესებულების მიერ, დამატებით, წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევის შესრულების შესახებ ანგარიში, მიუხედავად იმისა, რომ რჩევა სავალდებულოდ შესასრულებელი არ არის. სასწავლო კურსში „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ სავალდებულო ყველა ლიტერატურა სალექციო თემებისა და კვირების შესაბამისად, მითითებულია. შესაბამისად, რჩევა გათვალისწინებულია.
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**
რეკომენდაცია	-
შეფასება	-
რჩევა XI	11. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკული კურსის სახით ითვალისწინებს იურიდიული კლინიკას, რაც პროგრამის აუცილებელ კომპონენტია. იურიდიული კლინიკა მიზნად ისახავს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაუმჯობესებას და საჯარო სკოლებში ეფექტური სამართლებრივი განათლების დანერგვას. იურიდიული კლინიკა ამ შემთხვევაში გულისხმობს სამართალის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ინტერაქტიული მეთოდიკის გამოყენებით ძირითადი სამართლებრივი საკითხების სწავლებას. მიზანშეწინილია სამართლის საბაკალავრლო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის აღნიშნულ მოდელს „პრაქტიკული კურსის - იურიდიული კლინიკის“ ნაცვლად ეწოდოს პრაქტიკული სამართლის კლინიკა (Street Law) და პროგრამის სავალდებულო კომპონენტიდან გადატანილი იქნას პროგრამის არჩევით კომპონენტებში. ამასთან, აღნიშნული კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით უსდ-მ უნდა გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები საჯარო სკოლებთან.
შეფასება	რჩევა მიმართულია სასწავლო კურსის „იურიდიული კლინიკა“ სახელწოდების ცვლილების, მისი სავალდებულო კურსებიდან ამოღება და არჩევით კურსებში გადატანა, ხოლო სასწავლო კურსის პრაქტიკული გამოყენების მიზნებისათის, შესაბამისი მემორანდუმებისა თუ ხელშეკრულებების გაფორმება. სასწავლო კურსის სახელწოდება შეცვლილია და მას ეწოდება „პრაქტიკული სამართლის კლინიკა“, რომელიც სავალდებულოდან არჩევითი სასწავლო

	კურსების ბადეშია გადატანილი. თუმცა, უსდ-ის მიერ შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები არ არის წარმოდგენილი. შედეგად, რჩევა, ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.
მტკიცებულებ(ები)ა	• უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • სასწავლო კურსის „პრაქტიკული სამართლის კლინიკა“ სილაბუსი.

თანდართული დოკუმენტაცია[18]

ექსპერტის ხელმოწერა



[18]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა